კლინიკური როტაცია საოჯახო მედიცინაში
საგნის სემესტრული შეფასების ანგარიში

პროგრამის დასახელება: საოჯახო მედიცინა

პროგრამის კოდი: MD-ENG?C

ანგარიშში წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი ფაკულტეტის მე-6 კურსის, მე-11 სემესტრის სტუდენტთა კლინიკური როტაციის შედეგები საოჯახო მედიცინაში.

როტაცია მიმდინარეობდა 18.10.2023-დან 04.11.2023 პერიოდში საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის ბაზაზე.

უნივერსიტეტის მიერ საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრს გადმოეცა 59 ინგლისურენოვანი მედიცინის სტუდენტის სია (იხილეთ დანართი N1).

კურსის პედაგოგები

სასწავლო კურსს წარმართავდენენ საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის ექიმ-მასწავლებლების ჯგუფი:

1. უშანგი კილაძე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
2. ნატო შენგელია, ოჯახის ექიმი მასწავლებელი
3. მარინა ჯიმუხაძე, ოჯახის ექიმი მასწავლებელი
4. ქეთევან სილაგაძე, მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტი
5. ქეთევან კორინთელი, მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტი
6. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის პრაქტიკოსი ოჯახის ექიმები (კლინიკური პრაქტიკა ზედამხედველობით)

სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია

სტუდენტთა სწავლება მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული სილაბუსის მიხედვით, რაც მოიცავდა 48 საათს ლექცია/სემინარს კლინიკური პრაქტიკით, 20 საათს კლინიკურ პრაქტიკას ზედამხედველობით და 50 საათს თვითსწავლისთვის.

სწავლებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავდა ინტერაქტიურ სესიებს, კლინიკური შემთხვევების განხილვას, ჯგუფურ მუშაობას, ვიდეოკონსულტაციების განხილვას, დაკვირვებას რეალურ კონსულტაციაზე, როლურ თამაშებს, ტვინის შტურმს და თვითსწავლას.

შეფასების მეთოდოლოგიისთვის გამოყენებული იყო ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა, აქტიურობა სემინარების/კლინიკური პრაქტიკების დროს, კლინიკური პრაქტიკის განმავლობაში ნანახი შემთხვევების ირგვლივ დისკუსიის შეჯამება.

კერძოდ, შეფასების საერთო მაქსიმალური 100 ქულიდან 40 ქულა ეთმობა აქტივობას კლინიკური პრაქტიკებისა და სემინარების დროს, წერილობით და ზეპირ გამოკითხვებს.

20 ქულა ეთმობა სტუდენტის ჩართულობას კლინიკურ პრაქტიკაში ზედამხედველობის ქვეშ.

40 ქულით ფასდება ფინალური გამოცდა, რომელიც მოიცავს მრავალარჩევანიან კითხვებს, ჭეშმარიტია/მცდარი კითხვებს და კლინიკური შემთხვეევების განხილვას (იხილეთ დანართი N2). ფინალური გამოცდა ჩატარდა ონლაინ ფორმატით, კერძოდ, კითხვები ატვირთული იქნა Teams-ის ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე, რაც იძლევა საშუალებას, სტუდენტმა მობილური მოწყობილობის გამოყენებით გასცეს პასუხი კითხვებს, ხოლო სისტემა ავტომატურად ითვლის ქულების რაოდენობას. ფინალური გამოცდა მოიცავდა 70 კითხვას, რომელთაგან თითოეული ფასდებოდა 1 ქულით.

აღნიშნულთან ერთად, კურსის ბოლოს სტუდენტებს ეთხოვათ ანონიმურად შეეფასებინათ საოჯახო მედიცინის პროგრამა წერილობითი „ესეს“ ფორმით, სადაც გამოყოფდნენ კურსის დადებით და უარყოფით მხარეებს და ჩამოაყალიბებდნენ რეკომენდაციებს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ჯგუფის აკადემიური მოსწრების ზოგადი ანალიზი

სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და შეფასების შედეგები დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ დანართ N1-ში. ზოგადად, აკადემიური მოსწრება შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი, რადგანაც საბოლოო შეფასების საშუალო ქულა შეადგენს 81,3-ს, რაც უნივერსიტეტის შეფასების სისტემის თანახმად აკმაყოფილებს კრიტერიუმს „ძალიან კარგი“ – B, ამასთან, 59 სტუდენტიდან უმაღლესი შეფასება (≥91 ქულაზე - A) მიიღო 24-მა სტუდენტმა, რაც მთლიანი რაოდენობის 41%-ს შეადგენს. სტუდენტების სია იხილეთ ცხრილი N1-ში.

ძალიან კარგი შეფასება (საბოლოო ქულა 81-90 – B) მიიღო 24-მა სტუდენტმა, რაც აგრეთვე სტუდენტების საერთო რაოდენობის 41%-ია (იხილეთ ცხრილი N2).

კარგი საბოლოო შეფასება (საბოლოო ქულა 71-80 – C) მიიღო 5-მა სტუდენტმა, რაც სტუდენტების საერთო რაოდენობის 8%-ია (იხილეთ ცხრილი N3)

საკმარისი შეფასება (საბოლოო ქულა 51-60 – E) მიიღო ერთმა სტუდენტმა, ხოლო საგანი ვერ ჩააბარა 5-მა სტუდენტმა (8%), რომლებიც არ ესწრებოდნენ პრაქტიკულ მეცადინეობებს/სემინარებს და არც გასულან საბოლოო გამოცდაზე (იხილეთ ცხრილი N4).

შეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარეები: სტუდენტების უმრავლესობამ გამოავლინა კარგი ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები კლინიკური შემთხვევების განხილვისას, კომპლექსური სიტუაციების პრაქტიკული გადაწყვეტის კარგი შესაძლებლობები.

სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას: პაციენტის პრობლემების ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მართვა, პირველად ჯანდაცვაში მულტიდისციპლინური გუნდური მუშაობის პრინციპების უკეთ გაცნობიერება.

დასკვნები და რეკომენდაციები

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- კურსის არსებული სტრუქტურა და მეთოდოლოგია აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ცოდნისა და უნარების შეძენას ოჯახის ექიმისთვის აუცილებელი კლინიკური პრაქტიკის წარმართვისთვის;
- შეფასების არსებული სისტემა საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს სტუდენტის ცოდნა და უნარები და ამავე დროს მოწონებას იმსახურებს თავად სტუდენტების მხრიდან;
- ოჯახის ექიმის ისეთი კომპეტენციების სრულყოფილად გაცნობიერების მიზნით, როგორიცაა ჰოლისტიკური და ყოვლისმომცველი მართვა, შეიძლება სტუდენტებს ჭირდებოდეთ მეტი საათების გატარება საოჯახო მედიცინის ცენტრში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებთან ერთად შეფასების შედეგების განხილვა და გაუმჯობესების სტრატეგიების ერთობლივი გადაწყვეტა;
- რეკომენდებულია სწავლების პერიოდში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული შემთხვევების განხილვას და დისკუსიას, სტუდენტის ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარების მიზნით.

ცხრილები

ცხრილი N1. სტუდენტების სია უმაღლესი საბოლოო შეფასებით (≥91 ქულაზე - A)

E-mail	საგნის საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება ქულათა სისტემის მიხედვით
	93.0	A
	94.6	A
	91.2	A
	92.3	A
	98.7	A
	91.4	A
	98.7	A
	99.0	A
	92.4	A

	91.6	A
	92.1	A
	95.1	A
	94.4	A
	96.8	A
	97.2	A
	96.4	A
	92.9	A
	91.0	A
	93.8	A
	95.3	A
	91.2	A
	91.8	A
	91.0	A
	92.3	A

ცხრილი N2. სტუდენტების სია ძალიან კარგი საბოლოო შეფასებით (81-90 ქულა - B)

E-mail	საგნის საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება ქულათა სისტემის მიხედვით
	85.4	B
	89.0	B
	84.8	B
	90.0	B
	81.5	B
	90.9	B
	85.1	B
	89.6	B
	86.6	B
	89.7	B
	89.5	B
	83.3	B

	85.6	B
	87.8	B
	86.3	B
	82.9	B
	87.2	B
	85.9	B
	84.0	B
	86.3	B
	82.0	B
	86.8	B
	83.8	B
	83.5	B

ცხრილი N3. სტუდენტების სია კარგი საბოლოო შეფასებით (71-80 ქულა - C)

E-mail	საგნის საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება ქულათა სისტემის მიხედვით
	77.6	C
	78.7	C
	71.7	C
	77.2	C
	77.7	C

ცხრილი N4. სტუდენტების სია საკმარისი საბოლოო შეფასებით (51-60 ქულა - E) და ჩაჭრილი სტუდენტები (≤40 ქულაზე - F)

E-mail	საგნის საბოლოო ქულა	საბოლოო შეფასება ქულათა სისტემის მიხედვით
	56.7	E
	26.7	F
	6.7	F
	5.0	F
	0.0	F
	0.0	F